ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 49

22 იანვარი, 2021 წელი

12:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

გიორგი ბირბიჩაძე

ზაზა მამალაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა, სხდომას ესწრებოდნენ ასევე დაინტერესებული მოქალაქეები:

თამარ გოგბეჯიშვილი

ალექსანდრე აბრამიშვილი

თამარ კაციტაძე

მარიამ კუსიანი

ლევან ყვანია

ციალა ფიფია

ბელა ჭუმბურიძე

ნადია უზნაძე

ლევან ზედგინიძე

ქეთევან კურტახიძე

ირაკლი ხვადაგიანი

მიხეილ ამაშუკელმა დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, თეთრი გიორგის ქუჩის გაგრძელების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის VI შესახვევისთვის და ბანაკის დასახლების I ქუჩისთვის მსახიობის ხათუნა ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბანაკის დასახლების II ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის პოეტის ვანლერ დაისელის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბომბორას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბომბორას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მერაბ კოსტავას III ჩიხის გაგრძელების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თიანეთის ქუჩის გაგრძელებისა და ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის თიანეთის სახელის მინიჭების შესახებ.

7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საინგილოს ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის საინგილოს I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საინგილოს ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწე ბათლომე ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნიაბის ქუჩის I შესახვევის გაგრძელების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ჭირნახულის ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და წესახლეცისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების დავით კობახიძისა და ნოდარ სიგუას სახელების მინიჭების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, თეთრი გიორგის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით 2020 წლის 3 სექტემბერს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ვაჟა ბუაძის განცხადება, რომლითაც მიითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს სოფელ დიღომში, თეთრი გიორგის ქუჩის გაგრძელებას. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია თეთრი გიორგის ქუჩის გაგრძელება, ვინაიდან ქუჩა განაშენიანებულია.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, გაგრძლდეს თეთრი გიორგის ქუჩა.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, გაგრძლდეს თეთრი გიორგის ქუჩა.

2. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის VI შესახვევისთვის, ბანაკის დასახლების ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის მსახიობის ხათუნა ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, 2020 წლის 16 ივნისს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ლევან ზედგინიძის განცხადება, რომლითაც ითხოვს ბანაკის დასახლებაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი განცხადება. დადგინდა, რომ ისნის რაიონში, მეფის რუსეთის დროს განთავსებული იყო სამხედრო ბანაკები და მითითებული ტერიტორია მოიხსენიებოდა, როგორც ბანაკის დასახლება. ქუჩათა ქსელების განვითარების შემდგომ ტერიტორიაზე შემოგვრჩა ბანაკის დასახლების I ქუჩა და ბანაკის დასახლების II ქუჩა. აღსანიშნავია, რომ ქუჩათა სახელწოდებები და ქუჩათა ქსელი არ იმეორებს ქუჩის განმარტების კლასიკურ გაგებას. შეუძლებელია ქუჩების დასაწყისის, დასასრულის და ჩიხის ერთმანეთისგან გამიჯვნა და იდენტიფიცირებ კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქუჩათა ხელახალ,

არსებული განვითარების შესაბამისად სახელდებას, რის შედეგადაც მელაანის VI შესახვევი და ბანაკის დასახლების I ქუჩა ყალიბდება ერთ დამოუკიდებელ ქუჩად და ეწოდება საბჭოთა კავშირის დროს რეპრესირებული მსახიობის ხათუნა ჭიჭინაძის სახელი. იგი 1935-1937 წლებში მუშაობდა რადიოკომიტეტში.მას ბრალად დასდეს ლ.ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადება, დახვრიტეს 1939 წელს.

სხდომის მსვლელობისას მოქალაქეებისთვის გაშვებულ იქნა ვიდეორგოლი ხათუნა ჭიჭინაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ ამ საკითხით დაინტერესებული პირები. აზრი გამოთქვა საერთაშორისო ორგანიზაცია „უკანასკნელი მისამართი. საქართველო"ს თანადამფუძნებელმა ირაკლი ხვადაგიანმა. მან მადლობა გადაუხადა კომისიას საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სახელების უკვდავსაყოფად გაწეული შრომისთვის. ასევე ხათუნა ჭიჭინაძის ცხოვრების შესახებ ისაუბრა ხათუნას ჭიჭინაძის ნათესავმა ციალა ფიფიამ. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ხათუნა ჭიჭინაძის გახსენებისთვის და ღვაწლის დაფასებისთვის. მოქალაქე ლევან ზედგინიძემ დასვა შეკითხვა აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის დამისამართების შესახებ, რომელზეც კომისიის სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა ელექტრონულ რუკაზე დასაბუთებულად განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი, რომელიც ქალაქგეგმარებით აღწიშნულ ტერიტორიაზე ყალიბდება ორი ქუჩა, თუმცაღა ადმინისტრაციული მუშაობის თვალსაზრისით კომფორტული იქნებოდა ერთი სახელდება, რაც ამ შემთხვევაში შეუძლებელია.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, მელაანის VI შესახვევს, ბანაკის დასახლების ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს მსახიობის ხათუნა ჭიჭინაძის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბანაკის დასახლების II ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის პოეტის ვანლერ დაისელის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, აღნიშნული საკითხს ეხება ასევევ ლრვან ზედგინიძის განცხადება და ასევე სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, ცალკე ქუჩად ყალიბდება ბანაკის დასახლების II ქუჩა და ესიჭება ასევე რეპრესირებული პოეტის ვანლერ დაისელის სახელი, ხოლო ქუჩის ერთი მონაკვეთი ყალიბდება ჩიხად

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი ლევან ჟვანია, რომელიც ვანლერ დაისელის შემოქმედებისა და მოღვაწეობის მკვლევარია. მან ისაუბრა ვანლერ დაისელის ცხოვრებისა შესახებ, მისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვან დეტალებზე. ის ზალიან ახალგაზრდა ასაკში, საქართველოს გასაბჭოებისთანავე დაუპირისპირდა რეჟიმს. 1932 წელს გადაასახლეს არხანგელსკში, ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის, სადაც მისის კვალი დაიკარგა. ლევან ჟვანიამ მადლობა გადაუხადა კომისიას, რადგან იმ ქალაქში, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა პოეტს, ქუჩას მისი სახელი მიენიჭება.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე - შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ბანაკის დასახლების II ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს პოეტის ვანლერ დაისელის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბომბორას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბომბორას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, 2020 წლის 26 ოქტომბერს კომისიაში შემოსულია ქალაქი სოფიო ვიბლიანის განცხადება, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ გაწიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ბომბორას ქუჩასთან, მასთან განვითარებულია უსახელო ჩიხი და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ხსენებული ქუჩის I ჩიხს.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს კენჭისყრით მხარი დაუჭირეს.

ემომხრე -შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ბომბორას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხს მიენიჭა ბომბორას I ჩიხის სახელი.

5. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მერაბ კოსტავას III ჩიხის გაგრძელების შესახებ.

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, 2020 წლის 10 სექტემბერს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ნინო ზურაბიშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს წყნეთში, უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი წარმოადგენს ჩიხს, რომელიც მდებარეობს მერაბ კოსტავას III ჩიხთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

მომხრე - შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, წყნეთში, გაგრძელდეს მერაბ კოსტავას III ჩიხი.

6. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თიანეთის ქუჩის გაგრძელებისა და ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის თიანეთის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა საკითხის შესახებ და აღნიშნა, რომ 2020 წლის 27 ივლისს კომისიაში შემოსულია მოქალაქე თამარ გობეჯიშვილის განცხადება, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს დამისამართებას. კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სამგორის რაიონში, თიანეთის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება. ქუჩასთან ასევე განვითარებულია ორი უსახელო შესახვევი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამგორის რაიონში, გაგრძელდეს თიანეთის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს თიანეთის სახელი.

აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა თამარ გობეჯიშვილმა. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მისი საკიტხის დაკმაყოფილებისათვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

მომხრე -შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, გაგრძელდეს თიანეთის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს თიანეთის სახელი.

7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საინგილოს ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის საინგილოს I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცხო საკითხი. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში 2020 წლის 5 ივნისს შეეძოსულია ისნის რაიონში ნიაბის ქუჩის I შესახვევის მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივი განცხადება, რომლითაც განმცხადებლები ითხოვენ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ ხსენებული ქუჩის მიმდებარედ არსებობს განაშენიანების პროცესში მყოფი ტერიტორიები, სადაც ასევე არაა ქუჩები სახელდებული. კომისიამ იმსჯელა, და დადებითი რეკომენდაცია მისცა საინგილოს ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს საინგილოს I შესახვევის სახელი.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, საინგილოს ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევს მიენიჭოს საინგილოს I შესახვევის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საინგილოს ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწე ბათლომე ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით ხიაბის ქუჩის I წარმოქმნილი ქუჩების უმრავლესობა მდებარეობს უკვე სახელდებული გეოგრაფიული ობიექტების მიმდებარედ და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ამ ობიექტების ბუნებრივ გაგრძელებას, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია რომ საინგილოს ქუჩასთან ჩამოყალიბებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწე და პედაგოგის ბათლომე ხუციშვილის სახელი. ბათლომე ხუციშვილის მოღვაწეობა უკავშირდება საინგილოს და სიმბოლურია, რომ მისი სახელობის ქუჩა არსებობდეს საინგილოს ქუჩის მიმდებარედ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე -შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საინგილოს ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ბათლომე ხუციშვილის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით მოქალაქეთა ნიაბის ქუჩის I შესახვევის მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივი განცხადების შესწავლის შემდეგ გაკეთდა ქუჩათა ქსელი, რადგან ეს განაშენიანების პროცესში მყოფი ტერიტორიებია, სადაც არ არის სახელდებული ქუჩები და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ამ ობიექტების ბუნებრივ გაგრძელებას, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია გაგრძელდეს რომან გვენცაძის ქუჩა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე -შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში გაგრძელდეს რომან გვენცაძის ქუჩა.

10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნიაბის ქუჩის I შესახვევის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა აცნობა კომისიას, რომ მოქალაქეთა ერთობლივი განცხადებით, რომლითაც ითხოვდნენ დამისამართებას,საკითხის გაცნობისა და შესწავლის შემდეგ გადაწყდა, რომ განცხადებაში მითითებული გეოგრაფიული ობიექტი წარმოადგენს უკვე სახელდებული ობიექტების ბუნებრივ გაგრძელებას, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია გაგრძელდეს ნიაბის ქუჩის I შესახვევი.

აზრი გამოთქვეს დაინტერესებულმა პირებმა თამარ კაციტაძემ და მარიამ კუსიანმა.მათ მიზანშეწონილად მიაჩნდათ აღნიშნული ქუჩისთვის მიენიჭებინათ სამაჩაბლოსთან დაკავშირებული სოფლების ერგნეთის ან ძარწემის სახელები. კომისიის სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა განუმარტა, რომ მიზანშეწონილია ტექნიკური თვალსაზრისით

გაგრძელდეს ნიაბის ქუჩა. რაც შეეხება ძარწემის ქუჩას, თბილისში უკვე არსებობს ეს ქუჩა. ამასთანავე გასულ წელს დაახლოებით ერთ ჰექტარზე მეტ ფართობზე განთავსდა ოკუპაციის მსხვერპლთა სახელობის სკვერი, სადაც კონკურსის საფუძველზე გამოვლინდა გამარჯვებული და განთავსდა მემორიალი, მიძღვნილი ოკუპაციის მსხვერპლთა ხსოვნისადმი. მოქალაქეებმა დადებითად შეაფასეს კომისიის გადაწყვეტილება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

ძომხრე შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში გაგრძელდეს ნიაბის I შესახვევი.

11. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ჭირნახულის ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების დავით კობახიძისა და ნოდარ სიგუას სახელების მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით 2020 წლის 16 ივნისს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ალექსანდრე აბრამიშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს ლილოს დასახლებაში მდებარე ჭირნახულის ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული დავით კობახიძის სახელი.

კომისიაში ასევე შემოსულია მოქალაქე როზა სიგუას წერილი, რომელიც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიეხიჭოს აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ნოდარ სიგუას სახელი. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები და შეისწავლა ტერიტორია. საბრძოლო მოკლვლევის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ ლეიტენანტი დავით კობახიძე და ათმეთაური ნოდარ სიგუა ორივე აფხაზეთის ომში გმირულად დაიღუპა. ნოდარ სიგუა დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, ხოლო დავით კობახიძე დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია სამგორის რაიონში, ერთმანეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მათი სახელობის ქუჩების არსებობა.

სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი ალექსანდრე აბრამიშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლების სახელების უკვდავყოფისთვის.

კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია აღნიშნულ საკითხს და კენჭი ეყარეს.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი- არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ჭირნახულის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ნოდარ სიგუას სახელი, ჭირნახულის ქუჩის მონაკვეთს და ჭირნახულის ქუჩის შესახვევს მიენიჭოს დავით კობახიძის სახელი, ჭირნახულის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს დავით კობახიძის I შესახვევის სახელი და ჭირნახულის II ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს დავით კობახიძის II შესახვევის სახელი.

მიხეილ ამაშუკელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი